არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ერეკლე II ქუჩა №4/10



უბნის ხედი მტკვრის სანაპიროდან, 2013წ.



ერეკლე II ქუჩიდან, 2013წ.

შემსრულებელი:
ხელოვნებათმცოდნე - გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
ნოემბერი
2014 წ

საკვლევი ობიექტების ადგილმდებარეობა

ორი საკვლევი ობიექტი დგას ერთმანეთის გვერდი-გვერდ თბილისის ისტორიულ ნაწილ ზემო კალაში (ძველი თბილისის გამგეობა) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, **ერეკლე II ქუჩის დასაწყისში**. ორთავეს ერთი მისამართი აქვს **ერეკლე II ქუჩა №4/10**. თავდაპირველად ეს ორი ნაგებობა ერთ მოზრდილ ორსართულიან სახლს წარმოადგენდა. ამჟამად მტკვრისკენ მდგომ I ნაგებობაზე მოწყობილია ბანი და მსუბუქი კონსტრუქციის მართკუთხა მოცულობა. ქუჩისკენ გამავალ II ნაგებობაზე კი მოწყობილია კოლოფა გადახურვიანი მანსარდა.



აეროფოტო 2006წ.

საპროექტო ნაგებობა

საპროექტო შენობა აშენდა XIX ს-ის I ნახევარში. მისი ადაპტაცია მოხდა 1980-იან წლებში. უკანასკნელად კი 2000-იან წლებში. თავდაპირველად ეს იყო საცხოვრებელი სახლი რომელშიც ბოლო დროს გახსნილი იყო რესტორანი და ბარი.

საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია ორივე ნაგებობის რეაბილიტაცია და მასში რესტორნის მოწყობა.



პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია ერეკლე II ქ. №4/10.

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლები – ერეკლე II ქუჩა №№8/10,11,13,15;
საცხოვრებელი სახლი – ერეკლე II შესახვევი №9,
ქარვასლა – რომელიც გადის ლესელიძის ქუჩისკენ №22/19
აბანო – ერეკლე II მოედნის შესახვევისკენ №2;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

საკვლევი ნაგებობის მიმდებარე უბნის წარმოშობისა და ურბანული განვითარების ისტორია



ზემო კალა
XIX ს-ის დასასრულის ფოტო
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

უბანი საკვლევი ობიექტის ირგვლივ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე **ერეკლე II ქუჩისა და მოედნის** მიმდებარედ თბილისის უძველესი ურბანული კვანძია. XVIIს. აქ აშენდა **მეფე როსტომის სასახლე,** ამიტომ მას **ბატონის (მეფის) მოედანი** ეწოდა (აღნიშნულია შარდენის 1671წ. ჩანახატზე). მას ზემო მოედანიც ერქვა, საპირისპიროდ „ბაზრის“ ქვემო მოედნისა. მოედნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში, **კარის ეკლესიის წინ იდგა სიმონ მეფის სასახლე,** ზედა დასავლ. კუთხეში – **არსენალი.** 1800წ. გეგმაზე აქ აღნიშნულია **„სალაყბო მოედანი“,** რადგან აქ იკრიბებოდა მოსახლეობა და განვლილი დღის ამბებს უზიარებდა ერთმანეთს. მოედანი იყო ქალაქის ცენტრი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ისე სავაჭრო-ეკონომიკური და ინფორმაციული თვალსაზრისით. მოედანი და მისი განაშენიანება განადგურდა **აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას (1795წ.).** მოედანი განახლდა XIX ს-ის 20-იანი წლებიდან. სიმონის სასახლის ადგილას აშენდა კლასიცისტური სტილის სახლი (ამჟამად დანგრეული). მოედანს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი: 1828წლიდან იხსენიება როგორც ***გუბერნატორის მოედანი,*** რადგან აქ იდგა სამოქალაქო გუბერნატორის სახლი (დღეს საპატრიარქოს შენობა). XIXს. შუა წლებში მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ***ეგზარქოსის მოედანი ეწოდა,*** საეგზარქოსო სახლის აგების გამო. შემდეგ მთელ მოედანს ეგზარქოსის სახელი ეწოდებოდა. 1922წ. ეწოდა ***ა. ბებელის*** სახელი, 1948 წელს კი, ***ერეკლე II-ს მოედანი.*** მოედანი თავს უყრის რამდენიმე ქუჩას. აქ იწყება ***შავთელის, ჩახრუხაძის, ყაზლაშვილის და ერეკლე II ქუჩები.***



1735წ. ვახუშტი ბატონიშვილის შედგენილი თბილისის გეგმა



თბილისის ამ უბნის განაშენიანება კარგად ჩანს რუსი მხატვრის **ნ. ჩერნეცოვის** ჩანახატზე. აქ ჩვენ ვხედავ იმ დროს არსებულ რელიეფს. საკვლევი ნაგებობა მდინარის კლდოვან ნაპირთან დგას. აქ უკანა პლანზე, მარჯვნივ ჩანს **მეფის (დღეს ერეკლე II-ის) მოედანი.** გალავნის უკან უკვე აგებულია **სამოქალაქო გუბერნატორის კლასიცისტური სტილის სასახლე** (XIX ს-ის დასაწყ.) **(დღეს საპატრიარქოს შენობა),** ხოლო მის მარცხნივ ორი მოზრდილი ნაგებობაა რომელთა შორის მტკვარზე ჩასასვლელი იყო. **საკვლევი შენობა მარცხენა შენობის გვერდით დგას მტკვრისკენ.**

XIX ს-ში თანდათან მოშალეს მტკვრისპირა გალავანი, თუმცა გალავნის კედლების ქვედა ნაწილები შემორჩა, რომელზეც დაფუძნებული იყო ნაგებობები. მტკვარი ამ დროისთვის უშუალოდ განაშენიანების ძირზე მიედინებოდა და ადიდებისას საცხოვრებელი სახლების I სართულის დონესაც აღწევდა.



1844წ. გეგმა

XIXს-დე აქ დიდფეოდალთა საცხოვრებელი უბანი იყო. შემდეგ კი ქართული თავადაზნაურობის ნაწილმა ალღო აუღო ახალ დროს და სახლების მშენებლობა საკუთარ მამულებში იწყეს, ტრადიციულად, ქალაქის ზღუდის გარეთ. ამ უბანში კი უკვე ორი მოედანია მოწყობილი და მის ირგვლივ ადგილს იკავებს ადმინისტრაციული შენობები.

XIXს-ის შუა პერიოდში აქ მდებარეობდა **გუბერნატორის** – №1 (ერეკლე II-ის) და **გუბერნიის** – №2 **მოედანი, სიონის ქუჩა** – №25, **ერეკლე II შესახვევი** და **ერეკლე II ჩიხი**. იქვე იდგა **საქალაქო პოლიციის შენობა** – №61, მის გვერდით კი **საგუბერნიო სამმართველოს შენობა** – №60. მტკვრისკენ ჩანს მჭიდრო განაშენიანება. ამ დროისთვის ბანური სახლების ადგილს იკავებს „თბილისური“ ტიპის ხის კიდულაივნებიანი სახლები ორქანობიანი სახურავებით.



ერეკლე II-ის მოედნის უბნის ფოტო 1860-იანი წწ.

ამ უბნის ერთ-ერთ ადრინდელ ფოტოზე – 1860-იანი წწ. კარგად ჩანს მოედნის უბნის სახე. მტკვრის მაღალი კლდოვანი ნაპირი, მოედნის წინ მდებარე ნაგებობები – **ეგზარქოსის კანცელარია** და **სინოდალური კანტორა, საგუბერნიო სამმართველოს ადგილზე.** ამ დროისთვის **საქალაქო პოლიციის შენობა** უკვე აღებულია და ფოტოზე მის ადგილზე სიცარიელეა. ოდნავ მოგვიანო ფოტოზე, რომელსაც ქვემოთ ვნახავთ, ამ ადგილას აშენდა **საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის შენობა** და „ჩვენი“ **სახლიც** კარგად ჩანს ქუჩის დასაწყისში, მის გვერდით კი რამდენიმე მცირე ნაგობაა, რომლებიც მტკვრის ნაპირამდე აღწევს.



ერეკლე II-ის მოედნის უბნის ფოტო 1870-იანი წწ.

XIX ს-ის მეორე ნახევარში ეს უბანი უკვე საკმაოდ ურბანიზებულია, რაც ასახულია ამ დროის გეგმებზე და ფოტოებზე (XIX ს-ის 60-იანი წლებიდან). ამ უბნის ერთ-ერთ ასევე ადრინდელ ფოტოზე – XIX ს-ის 70-იანი წწ. კარგად ჩანს მოედნის უბნის უკვე ჩამოყალიბებული სახე. ამ დროისთვის აქ **ეგზარქოსის კანცელარიასა** და **სინოდალურ კანტორასთან** ერთად, **საქალაქო პოლიციის შენობის** ადგილას უკვე აგებულია **საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის ახალი ნაგებობა** (1860-იანი წლების დასასრული) და ასევე კარგად ჩანს **„ჩვენი“ შენობა,** მის გვერდით კი მტკვრისკენ **მცირე ნაგებობებია.**



ერეკლე II-ის მოედნის უბნის ფოტო 1900-იანი წწ.

XIX ს-ის დასასრულისთვის უბანმა მიიღო დასრულებული სახე. კარგად ჩანს „ჩვენი“ საკვლევი ნაგებობა ხის ღია აივნებით სამხრეთ მხარეს. მასზე ჯერ კიდევ არ არის მიდგმული სახლი რომელიც მოგვიანებით აშენდა მისი სამხრეთი ფასადის წინ. სახლის უკან მოჩანს სახელოსნო სასწავლებელი და მისი ერსართულიანი ფლიგელები მტკვრამდე გარძელებული.



აეროფოტო, 1926წ.

პირველი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება უბნის ამ მონაკვეთში XX ს-ის დასაწყისში განხორციელდა, როდესაც თბილისელმა I გილდიის ვაჭარმა ალექსანდრე მანთაშევმა, გადააკეთა ძველი ნაგებობა და ააგო დიდი ზომის ქარვასლა ერეკლე II-ის ქუჩის დასაწყისში. დაახლოებით იმავე დროს გაადიდეს სახელოსნო სასწავლებლის შენობაც, რომელიც გადაკეთდა საამქროდ. ეს ცვლილებები კარგად ჩანს 1926 წელს გადაღებულ აეროფოტოზე.



მტკვრის მარჯვენა სანაპირო, 1950-ანი წწ

მნიშვნელოვნად შეუცვალა ამ უბანს სახე 1950-იან წწ-ში ჩატარებულმა მტკვრის სანაპიროს მშენებლობამ, რამაც განაშენიანების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა. ფაქტობრივად ამ დროს ჩამოყალიბდა უბნის დღევანდელი გეგმარებითი სტრუქტურა.

შემდგომი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა 1980-იან წლებში, ამ უბნის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის დროს (ავტორი შ. ყავლაშვილი). 1985 წელს მოედნის რეკონსტრუქციისას გაჩნდა ახალი ქუჩა-დაღმართი, რომელიც გაიჭრა საპატრიარქოს გალავანთან. ამავე დროს სანაპიროს მხრიდან მოხდა წვრილი მოცულობების გამოხშირვა, დაიშალა ნაგებობები მდ. მტკვრისკენ და განახლდა საცხოვრებელი სახლების ფასადებიც. ზოგ მათგანში ადმინისტრაციული დაწესებულებები განთავსდა.

ყოფილ საამქროს შენობას მიუშენდა ბეტონის კედლები და სანაპიროს მხარეს გამავალ ნაწილში, აშენდა რესტორანი **“ბერიკონი”**, რომელიც აღმოსავლეთისკენ კასკადური აუზებით სრულდებოდა.

ყოველივე ამის შედეგად უბანმა მიიღო ახალი ურბანული სახე და შეიქმნა ფართო სივრცითი არეები. ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.



მტკვრის სანაპირო, 2010წ.

2000-იან წლებში მტკვარზე გაიდო ლითონის მსუბუქი კარკასისა და მინის საფეხმავლო „მშვიდობის ხიდი”, ხოლო რესტორან „ბერიკონის“ ნაცვლად აშენდა ასევე ლითონის კონსტრუქციის და მინის საფასადო მოცულობის სამორინე „შანგრილა“. მის უკან მიმდინარეობს ყოფ. ქარვასლის მასშტაბური შენობის რესტავრაცია.

ამგვარად ეს ურბანული მონაკვეთი, ისევე როგორც ძველი თბილისის გარკვეული ნაწილი, არის – ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე XXს-ის მეორე ნახევარში ჩატარებულ სარესტავრაციო-საადაპტაციო სამუშაოების პროდუქტი.

განაშენიანების არქიტექტურის მხატვრული ანალიზი

ეს უბანი შედგება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აგებული სხვადასხვა მასშტაბისა და სტილის ნაგებობებისგან. წლების მანძილზე აქ განლაგებული იყო სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების საკმაოდ მასშტაბური შენობები – სასახლეები და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები. მათ წინ კი მდინარესთან გალავნის კედელი იყო შემოვლებული. ამჟამად კი აქ მდინარის მოწესრიგებული სანაპიროა მოწყობილი ფართო, გაშლილი პლანებით. თვით განაშენიანება კი ძველ გეგმარებით საფუძველზე ადაპტირებულ მოცულობებისგან შედგება.



მტკვრის მარჯვენა სანაპირო „მშვიდობის ხიდთან“ 2013წ.

საპროექტო ნაგებობის მარცხენა მხარეს „თბილისური“ ტიპის ხის კიდულაივნებიანი ორ-სამსართულიანი განაშენიანებაა, მარჯვნივ სამორინე „შანგრილა“, ყოფ, სინოდალური კანტორისა (ამჟამად აქ ახალი ადაპტირებული ნაგებობაა) და საპატრიარქოს მსხვილი შენობებია. განაშენიანების წინ მტკვრის სანაპიროს ფართო სივრცითი არეა.

განსხვავებული არქიტექტურული სახის და სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებათა მიუხედავად უბნის ამ მონაკვეთში არ იყო დარღვეული განაშენიანების ერთიანი მასშტაბი და რიტმი. ადაპტირებულ ნაგებობათა უმრავლესობა ითვალისწინებდა მანამდე არსებული არქიტექტურული ერთეულების მასშტაბსა და ისტორიულ, თუ მხატვრულ ღირებულებას და თავადაც შეჰქონდა წვლილი განაშენიანების შემდგომ ევოლუციაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნაგებობები შესრულების გარკვეული ხარისხითა და ოსტატობითაც ხასიათდებოდა. ყოველივე ეს სანაპიროს ამ მონაკვეთს ერთიან ხასიათს ანიჭებდა და თბილისის იერში საკუთარ ადგილს უმკვიდრებდა.

თუმცა, 1980-ან წლებში საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის ნავცვლად აგებულმა სხვადასხვა ფორმის ღიობებით გახსნილმა მასიურმა ოთხსართულიანმა მოცულობამ ერთგვარი შეუსაბამო ლაქა გააჩიანა. ამჟამად ეს ნაგებობა აღარ არსებობს, მაგრამ 2011 წელს აგებულმა სამორინე „შანგრილამ“ ვერ გააუმჯობესა უბნის ამ მონაკვეთის ხედი. იგი გარკვეულ კონტრასტს ქმნის მარცხნივ მდებარე საცხოვრებელ სახლების განაშენიანებასთან. რაც შეეხება „მშვიდობის ხიდს“ იგი ოდნავ აბსტრაქტული, გეომეტრიზირებული პატრამეტრების სტრუქტურაა. თუმცა თვით განაშენიანებაზე არ ახდენს გავლენას.

საპროექტო ნაგებობა

1. ნაგებობის ისტორია:

აგების თარიღი – XIX ს-ის პირველი მეოთხედი. ადაპტირებულია 1980-იან წლებში.

ინვესტორები, მშენებლები და არქიტექტორი – არ არის ცნობილი.

არქიტექტურული სტილი – კლასიცისტურ საფასადო სიბრტყიანი, თბილისური ტიპის საცხოვრებელი სახლი, მოგვიანოდ დამატებული ხის კიდული აივნებით. თავდაპირველად აივნები არსებობდა სამხრეთ მხარეს საიდანაც მოგვიანებით მიდგმულია მეზობელი სახლი.

ისტორიული ფაქტები – თბილისის ისტორიულ ჩანახატებზე და გეგმებზე ამ სახლის ადგილი მუდმივად განაშენიანებული ჩანს. აქ განაშენიანება აღნიშნულია ჯერ კიდევ შარდენის თანამგზავრ მხატვარ გრელოს 1671წ. ჩანახატზე.



ნაგებობა.

ნაგებობის პირველი გრაფიკული გამოსახულება აღბეჭდილია ნ. ჩერნეცოვის ჩანახატზე – 1831წ. ჩანახატზე გამოსახულია ოთხქანობიან გადახურვიანი ორსართულიანი სახლი. მტკვრისკენ მოკლე ფასადზე ხუთ-ხუთი სარკმელია. გრძივ ფასადზე უფრო მეტი სარკმლები ჩანს. აივნები კი ამ მხარეს ნაგებობას არ ჰქონდა. ამ ადგილას 1831 წლის თბილისის გეგმაზეც არის გამოსახული მართკუთხა ფორმის მოზრდილი

ნ. ჩერნეცოვის ჩანახატი 1831წ.

ამ ადგილას 1844წ. გეგმაზეც მონიშნულია მართკუთხა ფორმის ნაგებობა, როგორც საზოგადოებრივი ან საუწყებო შენობა, თუმცა დასახელების გარეშე.



გაბარინის ? ჩანახატი 1840-იანი წწ.

ნაგებობის შემდეგი გრაფიკული გამოსახულება აღბეჭდილია 1840-იანი წლების ჩანახატზე (გაგარინი ?). აქ ჩანს კლასიცისტური სტილის ორსართულიანი შენობა ხის კიდული ღია აივნით სამხრეთის გრძივი ფასადის მეორე სართულის მთელ სიგრძეზე, მარტივი სვეტებითა და მოაჯირით. ოთხქანობიან სახურავზე, სამხრეთ მხარეს აღბეჭდილია ორი სამერცხული.



საარქივო ფოტო 1860-იანი წწ.



საარქივო ფოტო 1890-იანი წწ

მომდევნო გამოსახულება უკვე აღბეჭდილია 1860-იანი წლების საარქივო ფოტოებზე. აქ სახლი იგივე რაკურსიდან მოჩანს. სამხრეთი გრძივი ფასადის დასავლეთ კუთხეში აღბეჭდილია მეორე სართულის აივანზე ასასვლელი კიბე.

ამ სახლის გამოსახულება შემორჩენილი XIX-XX სს-ის მიჯნის საარქივო ფოტოებზეც. როგორც ჩანს XIX ს-ის ბოლოს შეუკეთებიათ გადახურვა თუნუქის ახალი საბურავით და ოთხქანობიანი გადახურვის სამხრეთ კალთაზე ამ ფოტოზე უკვე ერთი სამერცხულია გამოსახული ორის ნაცვლად. ასევე ამოშენებულია აღმოსავლეთი მოკლე ფასადის ორივე სართულის ცენტრალური სარკმელები.



საარქივო ფოტო 1880-იანი წწ.



საარქივო ფოტო 1911წ

სახლის საფასადო სახე თავიდანვე მკაცრი კლასიცისტირი სტილისა იყო. ფასადები გალესილი და დაფერილი ღია ტონით. სარკმლები კი – მორთული ნაშვერი შეთეორებული თავსართებით. სარკმლებს რაფების დონეზე და სართულებს შორის დაუყვებოდა სტილიზებული ქამრები.

სახლი ამ სახით შემორჩენილია პროკუდინ-გორსკის 1911 წლის ფერად ფოტოზეც. ოდნავ მოგვიანებით კი მის სამხრეთ ფასადზე მიშენდა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რის გამოც დაიფარა სამხრეთის ხის ღია აივანი. იმავე დროს მოეწყო სადარბაზო ერეკლე II ქუჩიდან.



საარქივო ფოტო 1950-იანი წწ.



საარქივო ფოტო 2008წწ

1950-იანი წლების ფოტოზე სახლს ცვლილება არ ეტყობა. ამ დროისთვის უკვე მოწყობილია სანაპირო, თუმცა სახლის წინ მცირე ნაგებობები ჯერ კიდევ არ არის აღებული. ამ ფოტოზე სახლი მოვარდისფრო ტონშია დაფერილი.

1980-იან წლებში კი უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების დროს მოხდა სახლის ადაპტაცია. საფასადო სტრუქტურის გადაკეთების შედეგად იგი გაიყო ორ სხვადასხვა ნაგებობად. მტკვრის მხარეს გამომავალ ნაგებობას აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ნაწილობრივ სამხრეთიდან მეორე სართულზე მიშენდა კრონშტეინებზე დასმული ხის ღია აივნები რიკულებიანი მოაჯირებით და მოხარატებული სამფურცელა თაღედებით. ნაგებობა გაილესა და დაიფერა ღიავარდისფრად. ადაპტაცია განიცადა ასევე სახლის ნაწილმა რომელიც გადის ერეკლე II ქუჩის მხარეს. მოეწყო მძლავრი პარაპეტი და შეიცვალა ღიობების ფორმები. დემატა სართულშუა პროფილირებული ქამარი. ნაგებობა გაილესა და დაიფერა მუქყვითლად.

2008-09 წლებში ჩატარდა კიდევ ერთი ადაპტაცია. მოიხსნა ოთხქანობიანი გადახურვა ერეკლე II ქუჩის მხარეს და ნაგებობის მთელ სიგრძეზე მოეწყო მესამე სამანსარდე სართული. ოდნავ მოგვიანებით კი ნაგებობაზე მტკვრის მხარესაც მოიხსნა გადახურვა, მოეწყო ბანი და მსუბუქი მართკუთხა კონსტრუქციის მოცულობა.

უკანასკნელ ხანს ამ ნაგებობებში მოწყობილი იყო რესტორანი და ბარი. ქვემოთ ტექსტში სახლის ნაწილს მტკვრის მხარეს ვუწოდებთ I ნაგებობას, ხოლო ერეკლე II ქუჩის მხარეს II ნაგებობას.

თვდაპირველი გეგმარება – თავდაპირველად აქ, ოდნავ დამრეც რელიეფზე როგორც ვნახეთ აშენდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ცოკოლით აღმოსავლეთიდან, სამხრეთის გრძივი ფასადის მეორე სართულზე კი ეზოს მხრიდან – ხის კიდული აივნით. საგულისხმოა, რომ ნაგებობას არ აქვს სარდაფი, რადგან აქ კლდოვანი გრუნტია.

თავდაპირველად ორთავე სართულზე, სამ რიგად გაწყობილ ანფილადურ ოთახებში, შესასვლელები მოწყობილი იყო სამხრეთის ღია აივნებიდან. ცალკე შესასვლელი არსებობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის ნახევარსარდაფულ ოთახში ჩრდილოეთ ფასადის კარიდან.

სამშენებლო ფენები – თავდაპირველი სახლის გაბარიტებია (17.70X17.90მ). შემორჩენილია თავდაპირველი წყობის ნაწილი, როგორც I ნაგებობის ნახევარსარდაფში, ასევე ორთავე სართულზეც, თუმცა კედლების დიდი ნაწილი და გადახურვები გამოცვლილია. II ნაგებობის კედლები კი თითქმის მთლიანად თავიდან არის აშენებული. თავდაპირველია ღია აივანი სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში, ეზოში, პირველ სართულზე. აივანი მის ზემოთ კი მეორე სართულზე გადაკეთებულია. ამავე აივნის დანარჩენი ნაწილი დახურულია მეზობელი სახლის მიშენებით სამხრეთიდან. ამ გაუქმებული აივნის მოცულობებში მოწყობილია სამზარეულო და სველი წერტილები – პირველი სართულის აივნის ბოლო დასავლეთ ნაწილში და მეორე სართულის აღმოსავლეთ მონაკვეთში. აივნის მეორე სართულის დასავლეთი ნაწილი კი გადაკეთებულია II ნაგებობის გრძელ დერეფნად და მოწყობილია ქვის კიბიანი სადარბაზო უჯრედი ერეკლე II ქუჩისკენ და მაღალი სადარბაზო ღიობი ხის ორფრთიანი მოხარატებული კარით.

ინტერიერში რამდენჯერმეა ჩატარებული რემონტი და საგრძნობლად არის შეცვლილი გეგმარება დამატებითი ტიხრებით და ორი შიდა კიბით.

ტიპოლოგ. მახასიათებლები – თანადროული ეპოქისათვის დამახასიათებელი პროპორციები, როგორც მთელი მოცულობითი სტრუქტურის, ასევე საფასადო მცირე ფორმების და არქიტექტურული დეტალებისთვის. კარ-სარკმელთა მომჩარჩოებელი, კლასიცისტური სტილის პროფილირებული მორთულობა. ადაპტაციის დროს დამატებული ფართო საფასადო ხის აივანი, რიკულებითა და ხის მოხარატებული თაღედებით. თავდაპირველი აივნის დიდი ნაწილი ეზოსკენ ამჟამად აღარ არსებობს;

2. გეგმარება:

ადგილმდებარეობა ქალაქში – ძველი თბილისი ზემო კალა, ერეკლე II ქუჩა №4/10. ნაგებობა მოკლე ფასადებით გადის ერეკლე II ქუჩის და მტკვრის სანაპიროს მხარეს. ჩრდილოეთი გრძივი ფასადით მიმართულია ერეკლე II ქუჩასა და სანაპიროს შორის არსებულ ვიწრო გასასვლელისკენ. ხოლო მეორე გრძივ ფასადზე მიდგმულია მეზობლად მდგომი სახლი. მტკვრის სანაპიროსკენ სივრცე გახსნილია და ნაგებობა ჩართულია თბილისური ტიპის აივნებიან ნაგებობათა მწკრივში. საპირისპირო მხრიდან კი ერეკლე II ვიწრო ქუჩაა ორსართულიან ნაგებობათა მწკრივული განაშენიანებით. ჩრდილოეთიდან სამორინეს კედელია მარტივი მართკუთხა ღიობებით. იქვე ჩრდილო-დასავლეთით კი ყოფ. ქარვასლის მოზრდილი ნაგებობა.

ეს განაშენიანება, ძირითადად XIX საუკუნის შუა ხანაში ჩამოყალიბდა უფრო ადრეულ გეგმარებით საფუძველზე; ეს თავდაპირველი სტრუქტურები მნიშვნელოვან აქცენტებს ქმნიან და წამყვანი ადგილი უკავიათ მოედნის და ქუჩების განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული იერის შექმნაში.

მეზობელი ნაგებობები – სამხრეთის ყრუ კედელზე მიდგმულია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი №6, ფსევდოკლასიცისტური ფასადით. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ზედა ორი სართული დაშენებულია ახლახან). მახლობლად ერეკლე II მოედანია 2-3 სართულიანი განაშენიანებით.

ორიენტაცია – დასავლეთ-აღმოსავლეთის ოდნავი გრძივის მიმართულება;

რელიეფი – აღმოსავლეთისაკენ ოდნავ დახრილი;

ნიადაგი – მდინარისპირა კლდოვანი გრუნტი;

გეგმა – მთელი ნაგებობის დღევანდელი აბრისი სულ ოდნავ დაგრძელებული კვადრატის ფორმისაა (იხ. ზემოთ თავდაპირველი გეგმარება). გარედან აქ ორი ერთმანეთზე გვერდიგვერდ მიდგმული შენობა წარმოჩინდება. I ნაგებობა სანაპიროს მხარესაა. აქ პირველ სართულზე რამდენიმე ოთახია. მეორეზე კი ერთი დარბაზი, შემოფარგლული ხის კიდული აივნით.

II ნაგებობაში ერეკლე II ქუჩის მხარეს პირველ და მეორე სართულებზე ორ-ორი ანფილადური ოთახია. მანსარდა კი რამდენიმე ოთახად არის დაყოფილი.

ეზო – აქვს მხოლოდ მცირე ეზო სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში. შესასვლელად დატანილია ლითონის მარტივი ჭიშკარი;

სართულიანობა – ორი ორსართულიანი ნაგებობა, ბანით და მცირე მართკუთხა დანაშენით I ნაგებობაზე და მანსარდის მთლიანი მესამე სართულით II ნაგებობაზე;

სართულთა გეგმები –



I სართულის გეგმა, 2013წ.

I სართული – I ნაგებობაში ორ რიგად არის განაწილებული მართკუთხა გეგმარების მქონე სხვადასხვა ზომის და ფორმის, 3.30მ-ის სიმაღლის ოთახები, თითო შესასვლელით ღია აივნიდან. ოთახები ერთმანეთისგან გაიმიჯნება 15 სანტიმეტრიანი თხელი ტიხრებით. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კი ნახევარსარდაფული „ორსინათლიანი“ მოცულობაა შესასვლელით ჩრდილოეთ ფასადიდან. ნახევარსარდაფის განიერ კედელში დატანილია ღრმა თახჩა; ზედა დონეზე მოგვიანებით სველი წერტილი და სამზარეულოა მოწყობილი. II ნაგებობაში ორი ანფილადური ოთახია შესასვლელით ჩრდილოეთ ფასადიდან. მარცხენა ოთახში მოწყობილია კიბის უჯრედი.



II სართულის გეგმა, 2013წ.

II სართული – I ნაგებობაში სახლის ადაპტაციის შემდეგ მოეწყო 3.40მ-ის სიმაღლის ერთი დიდი დარბაზი და მისი შემომფარგვლელი ფართო კიდული ხის აივანი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. თავიდან შესასვლელები დატანილი იყო ამჟამად გაუქმებული სამხრეთის აივნიდან. ახლა ამ დარბაზში ვხვდებით II ნაგებობის დერეფნიდან. აქ დამატებულია სათავსები სამზარეულოსა და სველი წერტილისთვის. მოგვიანებით დარბაზის ცენტრში მოეწყო ბანზე ასასვლელი კიბის უჯრედი. II ნაგებობაში 2 ანფილადური ოთახი და ქუჩიდან შესასვლელი სადარბაზო უჯრედია, სადარბაზო კარით, რომელიც თავდაპირველად ღია აივანს წარმოადგენდა. მარცხენა ოთახში კიბის უჯრედია მოწყობილი.

ბანი – აქვს მხოლოდ I ნაგებობას. იგი მთლიანად ახალია. ასასვლელი მოწყობილია II სართულის დარბაზიდან, კიბით. ეს არის მართკუთხა გეგმის შემინული მსუბუქი სტრუქტურა, რომელიც მორთულია II სართულის აივნის მსგავსი, ოღონდ ლითონის სტილიზებული სამფურცელა თაღებით.



III სართულის ბანი და მანსარდა, 2013წ.

მანსარდა – აქვს მხოლოდ II ნაგებობას. იგი მთლიანად ახალია. ასასვლელი მოწყობილია II სართულის კიბის უჯრედიდან. მანსარდის წაგრძელებული მოცულობა ვიწრო ტიხრებით დაყოფილია რამდენიმე მართკუთხა ოთახად. კოლფა გადახურვის დახრილ სიბრტყეებში მოწყობილია პარაპეტში გაჭრილი ვიწრო მაღალი ღიობები, შეკრული ლითონის გისოსებით. მანსარდის ბოლოს მოწყობილია კიბის უჯრედი ხის ნივნივებიან სხვენში ასასვლელად.

დამხმარე სათავსოები:

სარდაფი – აქვს მხოლოდ ნახევარსარდაფი I ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩასასვლელით ჩრდილოეთი ფასადის აღმოსავლეთი ფლანგიდან. ნახევარსარდაფის კედლები განიერია – 102 სმ.



ნახევარსარდაფი, 2013წ.

სხვა დამხმარე სათავსოები განლაგებული უნდა ყოფილიყო სამხრეთით აივნისკენ. ამჟამად სველი წერტილები განლაგებულია სხვადასხვა ადგილას.

სამზარეულო მოწყობილია I ნაგებობის II სართულის დარბაზის უკანა მხარეს და ნახევარსარდაფის ზედა დონეზე.

ოთახები თბებოდა ბუხრებით და გადასატანი ღუმელით. შემდეგ ბუხრები მოიხსნა და მოგვიანებით მოწყობილი იყო ცენტრალური გათბობის სისტემა. ახალი ბუხარი დამონტაჟდა II ნაგებობის I სართულზე. საკვამური მილი მოწყობილია მანსარდის კუთხეში;

3. გამოყენება:

თავდაპირველი – კერძო მფლობელის საცხოვრებელი სახლი;

შემდეგი – რესტორანი, ბარი;

ამჟამინდელი – განსაზღვრულია რესტორნის მოწყობა;

4. მასალების სტრუქტურა, კონსტრუქციები, დაზიანება:

საყრდენი კედლები – განიერია – ნახევარსარდაფში კედელი ცოკოლის მხარეს 100-105 სმ. I ნაგებობის პირველ და მეორე სართულებზე 90-97სმ. II ნაგებობის კედლები უფრო ვიწროა. პირველ სართულზე 80-90 სმ. მეორე სართულზე 40-50სმ.

კედლების სტრუქტურა – საძირკველი რიყისა და ფლეთილი ქვისაა კირის ჭყორდუღაბზე. I ნაგებობის ფასადის და ინტერიერის მხარეს „ქართული“ აგურის (28X28X4.5 სმ,). კომერციული წყობაა კირნარევ ხსნარზე, მათ შორისი არე შევსებულია ნატეხი აგურით და ღორღით. შემდეგდროინდელ დანამატებში გამოყენებულია სილიკატური აგური, „ბლოკი“ და რკინაბეტონი. II ნაგებობა თითქმის მთლიანად ახალია და რკინაბეტონია გამოყენებული;

სართულშუა გადახურვა – I ნაგებობის I და II სართულებს შორის მოწყობილია ხის ძელებით. შემდეგ ფიცრის იატაკია. მოგვიანებით ფიცარზე მოეწყო ბეტონის იატაკი. II სართულის ჭერი რკინაბეტონისაა. იატაკები I სართულზე ხის ფიცრისაა. აივანზე ჭერი ლამფით არის შეფიცრული; II ნაგებობაში ყველგან მოწყობილია რკინაბეტონის ახალი სხმული გადახურვები. I სართულის იატაკზე კერამიკული ფილებია.

სახურავი – I ნაგებობაზე რკინაბეტონის თარაზული გადახურვაა. თუნუქის ფურცლების კოლოფა გადახურვაა მოწყობილი II ნაგებობის მანსარდაზე და ეყრდნობა ხის ნივნივებს. II ნაგებობას გარს შემოუყვება შებათქაშებული, ჩაძირულ მართკუთხედებიანი, 95სმ. სიმაღლის პარაპეტი, ძლიერად ნაშვერი სოფიტით;

საპირე მასალა – საფასადო მხარეს აგურის წყობა შებათქაშებულია და შემდეგ დაფერილი ღიავარდისფრად I ნაგებობაზე. მუქყვითლად II ნაგებობაზე;

ბათქაშის სისქეში გამოყვანილია ღიობთა თავსართები და პარაპეტის კვეთილი მართკუთხა სახეები. I ნაგებობის ცოკოლი თხელი საფეხურით არის გამოწეული და დაფერილია ნაცრისფრად. კედლის წყობა შებათქაშებულია ინტერიერის მხრიდანაც;

კიბე – ერეკლე II ქუჩის მხრიდან სადარბაზოს ინტერიერში მოწყობილია შვიდსაფეხურიანი კიბე. იატაკი სხმულია. ტროტუარიდან მხოლოდ ერთი საფეხურია. ამ კიბით ვხვდებით მე-2 სართულზე. ახლახან დამატებით მოწყობილია ლითონის ხვეული კიბე I ნაგებობის ჩრდილოეთ ფასადზე, მეორე სართულის ღია აივანზე ასასვლელად. მოწყობილია ასევე ახალი კიბე II ნაგებობის ინტერიერის სიღრმეში პირველი სართულიდან მეორე სართულზე და მანსარდზე ასასვლელად. ასევე მოწყობილია კიბე I ნაგებობის მეორე სართულიდან ბანზე ასასვლელად. კიდევ ერთი ჩასასვლელი კიბეა მოწყობილი ნახევარსადრაფულ სართულში ჩრდილოეთი ფასადის აღმოსავლეთი ფლანგის შესასვლელიდან.

ჭიშკარი – მარტივ სახეებიანი ლითონის ჭიშკარი მოწყობილია აღმოსავლეთი მხრიდან I ნაგებობის მცირე ეზოში შესასვლელად;

დაზიანება – დაზიანდა უკანასკნელი მიწისძვრების დროს. დეფორმირებულია ფასადები. დაბზარულია კედლები. დაზიანებული და დეფორმირებულია საფასადე აივნის ხის მასალა და იატაკები. მოშლილია აივნის ნაწილი ეზოს მხრიდან.

ნგრევის მიზეზები – ნგრევა უნდა გამოეწვია მიწისძვრას, ასევე გრუნტის წყლებით საძირკვლების გამორეცხვას და ჯდომას. შესასწავლია საძირკვლები;

5. ინტერიერი:

გეგმარება – ორთავე ნაგებობის ორივე სართულზე მართკუთხედის ფორმის, სხვადასხვა ზომის ოთახებია (მოზრდილი დარბაზი აღმოსავლეთისკენ მეორე სართულზე), რომლებიც ერთმანეთთან კარებით არის დაკავშირებული. ოთახებში დატანილი იყო აივნებზე გასასვლელი კარები;

სარკმლები – I ნაგებობის თარაზულ ზედანიანი სარკმლების წირთხლები განიერდება ოთახებისკენ. ინტერიერისკენ მრუდთაღოვანია. ასეთივეა ერთ და ორალათიანი შესასვლელებიც; სარკმელთა სახე ინტერიერში მარტივია. ფასადებზე სარკმელთა თავსართები ნალესობით არის შექმნილი გლუვი ლილვებით; II ნაგებობის სარკმლები პარალელურ წურთხლებიანია.



I სართულის სარკმელი, 2013წ.

გაფორმება – ინტერიერში მრავალჯერ არის ჩატარებული რემონტი. თავდაპირველადვე კედლები იყო შებათქაშებული და დაფერილი. ამჟამად თითქმის მთლიანად არის შემოსილი თაბაშირმუყაოს პანელებით. I ნაგებობის I სართულზე გაკრულია შპალერი.

– იატაკები I სართულზე ხის ფიცრის. მეორე სართულზე ფიცრის იატაკზე მოწყობილია ბეტონის სხმული იატაკი.

– ჭერი თავდაპირველად შელარტყულია და შებათქაშებული ე.წ „ბაღდადკით”, გვერდებზე კი კედლებს გასდევს ბათქაშისავე ლავგარდანის ლილვები. მომდევნო პერიოდში კედლები მთლიანად შეიმოსა (I ნაგებობის I სართულის რამდენიმე ოთახის გარდა) თაბაშირმუყაოს პანელებით.



II სართულის დარბაზი, 2013წ.

6. ფასადები:



ხედი სანაპიროდან, 2009წ.

დღევანდელი სახე – ორსართულიანი სახლი მტკვრისკენ საშუალო სიმაღლის ცოკოლზე დგას, რომელიც დაფერილია მუქად. მხატვრული აღქმის ძირითადი ეფექტი მიიღწევა ხის საფასადე კიდული აივნით, გადანაკეცებით გვერდით ფასადებზე. ხის კრონშტეინებზე შემომდგარ აივანს ამშვენებს ნახევარწრიული სვეტები ოვალური ბაზებით და აბაკისებური სვეტისთავებით, ფრიზიანი ხის ლავგარდანი და ხის ჭვირულ სახეებიანი სამფურცელა თაღედი რიკულებიანი მოაჯირით.



ხედი სანაპიროდან, 2013წ.





II ნაგებობის სართულები ერთმანეთისგან გამოყოფილია ნალესობით გამოყვანილი თარო ქამრით. მაღალი პარაპეტიც პროფილირებული ნალესობითაა შემკული. სახლის ძირითად ბირთვს, ბანური გადახურვა აქვს, II ნაგებობას კი კოლოფისებური თუნუქის

გადახურვა. ერეკლე II ქუჩის მხრიდან მარჯვენა ფლანგზე გამოიყოფა მაღალი სადარბაზო – შეწყვილებული, ხის კვეთილობიანი ორალათიანი კარით.
ღიობები – მკაცრი, კალიცისტური იერის მართკუთხა ღიობები. ტრადიციული ტიპის შემინული ალათებით;

წყობის ტექნიკა – ქართული აგურის კომერციული წყობა ყველგან შებათქაშებულია და დაფერილია ღიავარდისფრად;

დეკორაციული კვეთილობა – სარკმლების თავსართები გამოყვანილია პროფილირებული ბათქაშით – ერთმაგი გლუვი ლილვებით. ამ ნალესობით არის გამოყვანილი ლილვი მთელი აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი ფასადის გაყოლებით სარკმლებს ზემოთ. II ნაგებობის სახურავის პარაპეტი შემოსალტულია, პროფილირებული სახეებით და მართკუთხედებით. სართულებს შორის კი პროფილირებული ნალესი ლილვებია. ხის კვეთილობით არის შემკული სადარბაზო კარი. ასევე ხის კვეთილობისაა საფასადე კიდული აივნის ლავგარდანი, მოაჯირი და სვეტისთავები. ლითონის ჭვირული ესთეტიკისაა წინფრა და ახალი მრგვალი კიბე ჩრდილოეთ ფასადზე.



მრგვალი კიბე და ნალესი ლილვები



აივანი ეზოს მხრიდან, სანაპიროდან, 2013წ.

სადარბაზო – II ნაგებობაში ორი სადარბაზო კარია. ორივე სადარბაზო ახალია და ნაგებობის 1980-იანი წლესბის რეაბილიტაციის დროს არის მოწყობილი. ერთი ჩრდილოეთ ფასადზეა – I სართულში შესასვლელი სადარბაზო ლითონის ჭვირული წინფრაითი. მეორე სადარბაზო ერეკლე II ქუჩის მხრიდან არის. აქ მაღალი სადარბაზოა ხის მოხარატებული ორალათიანი კარით, შემინული გულით და ტიმპანით. ამ სადარბაზოდან რამდენიმე საფეხურიანი კიბით II ნაგებობის მეორე სართულზე ავდივართ.





II ნაგებობის სადარბაზოები, 2013წ.

8. დოკუმენტაცია – საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ნაგებობის თავდაპირველი პროექტი ვერ იქნა მოძიებული;

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის რამდენიმე პანორამული ფოტო სადაც აღბეჭდილია ეს უბანი, ნაგებობა ამ ფოტოებზე კარგად გაირჩევა. საქართველოს ცენტრალური ფოტო-ფონო-კინო არქივის ფონდები: ფ.799-12; ფ.799-14; ფ.799-18; ფ.799-19; ფ.799-23; ფ.799-51; თბილისი სახელმწიფო მუზეუმის („ქარვასლა”) არქივის ფონდი; შემორჩენილია ასევე 1930-იანი წწ. აეროფოტოები;

ძველი თბილისის გეგმები – თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის („ქარვასლა”) საარქივო ფონდები: თბილისის გეგმები 1800წ. 1844წ. 1867წ, 1902წ. 1924წ.

ჩანახატები – შემორჩენილია რუსი მხატვრის ნ. ჩერნეცოვის 1831 წლის თბილისის პანორამული ჩანახატი, სადაც გამოსახულია მოედანი და მიმდებარე უბნის სახე საკვლევ ნაგებობასთან ერთად. ასევე 1840-იანი წლების ჩანახატი (გ. გაგარინის ?).

შეფასება:

კულტურულ ისტორიული – ნაგებობა ძველი თბილისის XIX ს-ის პირველი ნახევრის საცხოვრებელი სახლია. იგი ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას;

მხატვრულ-რქიტექტურული – თავისი სტრუქტურით ეს ნაგებობა საინტერესოა, როგორც XIX საუკუნის თბილისის საცხოვრებელი სახლების განსაზღვრული ტიპის სახე (კლასიცისტურ ფასადებიანი და აივნებით ეზოს მხარეს. ამჟამად აივნების დიდი ნაწილი ამოშენებულია) და სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ეტაპის ამსახველი რეალობა. ამასთან იგი ადაპტირებულია 1980-იან წლებში;

სტატუსი – არქიტექტურული ძეგლი.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო
ბარათი № 010404308



საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2006 წლის 30 მარტის № 3/133 ბრძანება

1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ერეკლე მეორის ქუჩა 4 / ერეკლე მეორის შესახვევი 10
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის II ნახევარი



ხედი საპროექტო ტერიტორიისკენ მტკვრის მხრიდან, 1890-იანიწწ.



ხედი საპროექტო ტერიტორიისკენ მტკვრის მხრიდან, 2009



ხედი საპროექტო ტერიტორიისკენ მტკვრის მხრიდან, 2013

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

პირველ რიგში ავღნიშნავთ მიკროუბნის განაშენიანების ისტორიის თავისებურებებს, შემდეგ კი საკუთრივ შესასწავლი ნაგებობისა.

მიკროუბანი ერთიანად არ განაშენიანებულა, ის თანდათან – ევოლუციურად - ვითარდებოდა, მასში ყოველ კონკრეტულ ეპოქას მისთვის დამახასიათებელი შტრიხები შეჰქონდა. ამგვარი ცვლილებები ეხებოდა, როგორც ახალმშენებლობას, ასევე უკვე არსებული ნაგებობების რეკონსტრუქციის პროცესსაც.

ამ თეზისს არც საკვლევი ნაგებობა ეწინააღმდეგება. თუმცა დღეს სანაპიროსაკენ სივრცე კიდევ უფრო მეტად არის გახსნილი. უკან კი მიმდინარეობს ქარვასლის შენობის რესტავრაცია. სასურველია, რომ ძალიან არ გამსხვილდეს მასშტაბი ცვლილებების შედეგად და არსებობდეს კვლავ დასახსრული სივრცე ორთავე ნაგებობისა. არ ივარგებს აქ ზედმეტად აქტიური არქიტექტურული ლაქის გაჩენა.

1. ამგვარად, ეს არის XIXს-ის I მესამედში აგებული ერთი შენობა, რომელიც 1980-იანი წლების რეაბილიტაციის საფასადო ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა ორ სტრუქტურულად განსხვავებულ ნაგებობად. შენობის ინტერიერის მხატვრული სახე და ფორმაც პრაქტიკულად მთლიანად არის შეცვლილი. ძველი შენობის აღმოსავლეთი ნახევრის – I ნაგებობის გადახურვა მთიანად გამოცვლილია ბეტონის ახალი ფილით, ხოლო ძველი ნაგებობის დასავლეთი ნაწილი, ანუ II ნაგებობა, როგორც ჩანს, მთლიანად არის დაშლილი და ხელახლა აგებული რკინაბეტონის გამოყენებით;

2. I ნაგებობის ნახევარსარდაფში მოეწყო ბარი. დაემატა პირველი სართულიდან ჩასასვლელი ლითონის კიბე და მოეწყო მართკუთხა დამხმარე სათავსები. გაგანიერდა სარკმლების ქვედა ნაწილები;

3. I ნაგებობის II სართულზე მოიხსნა ოთახების კედლები და წარმოიქმნა ერთი დიდი დარბაზი (რესტორნის), რომლის უკანა მონაკვეთში თხელი ტიხრებით მოეწყო მართკუთხა სათავსო (სამზარეულო). დარბაზის შუა მონაკვეთში დამონტაჟდა ბანზე ასასვლელი ხის საფეხურებიანი ხვეული კიბე. II სართულის ხის იატაკზე მოეწყო რკინაბეტონის ფილა, ხოლო იმავე სართულის ჭერი ხის ნაცვლად მოეწყო რკინაბეტონით. ამოშენდა სამხრეთის ღია აივანი და მოეწყო სველი წერტილები. ჭერი და კედლები შეიმოსა თაბაშირმუყაოს პანელებით, მოეწყო ლამინატის იატაკი;

4. II ნაგებობის ორთავე სართულის ინტერიერის გეგმარება ძირითადად შენარჩუნებულია. თუმცა, როგორც ჩანს კედლები მთლიანად დაშლილია და ხელახლაა აგებული რკინაბეტონით. I და მეორე სართულების უკანა ოთახებში მოეწყო კიბის უჯრედი. პირველ სართულზე ხვეული, მეორეზე კი ორსვლიანი, ხის რიკულებიანი მოაჯირით. I სართულზევე მოეწყო ახალი ბუხარი. მოგვიანებით ჭერი და კედლლები შეიმოსა თაბაშირმუყაოს პანელებით. I სართულზე დაიგო მეტლახის მოზრდილი ფილები, II სართულზე კი „ლამინატი“. II სართულის ჭერი მოეწყო რკინაბეტონით. ამოშენდა სამხრეთის ღია აივანი და მოეწყო სადარბაზო ერეკლე II ქუჩიდან. მანსარდის სართული მთლიანად ახალია, გადატიხრული ვიწრო კედლებით;

5. შეცვლილია საფასადო მხარეც, როგორც ქუჩის, ასევე მცირე ეზოს მხრიდანაც;
6. I ნაგებობის II სართულზე მოეწყო ხის ღია კიდული ფართო აივანი. ჩრდილოეთი მხრიდან აივნის ქვეშ დაემატა ლითონის ხვეული კიბე. კედლები

მთლიანად შეილესა და დაიფერა ღიავარდისფრად. სამხრეთ მხარეს II სართულზე შემორჩენილი ღია აივანი შეიმინა. I სართულზე კი მიშენდა უხარისხო სათავსო. ნაგებობაზე ოთხკალთა გადახურვის ნაცვლად მოეწყო ბანი და ბანის ნაწილზე დაემატა მსუბუქი კონსტრუქციის მართკუთხა მოცულობა.

7. II ნაგებობას დაემატა ძლიერ ნაშვერი პარაპეტი და პირველი და მეორე სართულების გამყოფი პროფილირებული „ქამარი“. ჩრდილოეთი მხრიდან I სართულის შესასვლელში მოეწყო ლითონის წინფრა, ერეკლე II ქუჩიდან კი მთლიანად გამოიცვალა სადარბაზო კარი. შემდეგ დაემატა მანსარდა კოლოფა გადახურვით და მანსარდაში ასასვლელი კიბის უჯრედი;

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაგებობის ღევანდელი სახე XX ს-ის ბოლო პერიოდის რესტავარცია-ადაპტაციის შედეგია როგორი სახითაც შევიდა არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში. ბანი და მანსარდა დაემატა მოგვიანებით, XXI ს-ის დასაწყისში..

თუმცა, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. 1980-იანი წლების რეაბილიტაციის დროს ახალ ნაგებობაში გამეორებულია ძველი გაბარიტები, ასახულია თავდაპირველის არქიტექტურული სტილისტიკა და გამეორებულია ასევე XIXს-ის I ნახევრის თბილისის ნაგებობების ზოგადი მხატვრული ესთეტიკა.

ამგვარად, ეს არის ყოფილი ერთი შენობა, რომელიც საფასადო ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა ორ სტრუქტურულად განსხვავებულ ნაგებობად. პირველ შენობაში ამჟამად რესტორანი და ბარია განთავსებული.

თავდაპირველი ნაგებობის ძირითადი არქიტექტურული სახე იყო ხის ღია აივანი სამხრეთით, ეზოს მხარეს და კლასიცისტური ფასადები სახლის დანარჩენ გვერდებზე. ამჟამად ეზოს მხრიდან სამ-მეოთხედ ფასადზე მოშენებულია მეზობელი სახლი და ყოფილი ღია აივანი გადაქცეულია დახურულ დერეფნად. I ნაგებობა მეორე სართულზე შემოფარგლულია ხის გალერეა-აივნით და აქვს კლასიცისტური სტილის სარკმელთა თავსართები. II ნაგებობასაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს ფსევდოკლასიცისტური სახე.

ნაგებობა დაზიანებულია, აქვს ბზარები და დეფორმაციები. სასურველია ნაგებობების რესტავრაცია, რათა გამაგრდეს თავდაპირველი კონსტრუქციული კვანძები და ყურადღება მიექცეს იმ არქიტექტურულ ფასეულობათა დაცვას, რაც ახასიათებს ამ ნაგებობას. ამ სახლის ძირითად არქიტექტურულ მახასიათბლებთან ერთად გასათვალისწინებელია ისტორიული ასპექტიც. I ნაგებობის ძველი კედლების დაშლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დასაშვები თუ მისი კონსტრუქციული მდგრადობა ძალზე მძიმეა და გამაგრება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. ბანი I ნაგებობაზე თავისი მსუბუქი მოცულობით და II ნაგებობა მთლიანად ახალია და გამეორებულია ძველი გაბარიტები.

კანონმდებლობით შესანარჩუნებელია ნაგებობის ის სახე რომელიც მას ჰქონდა ძეგლად აღრიცხვის მომენტში. ამასთან, ცვლილება უკვე მოხდა მანსარდის დაშენებისა და ბანის მოწყობით. ამიტომ ამ ნაწილთა ცვლილება კვლავ შესაძლებელი ჩანს დღევანდელი ახალი ფუნქციური მოთხოვნილებებისათვის. ხოლო ადაპტირებულ ნაწილში, შესაძლო ჩანს მცირე მხატვრულ-სტრუქტურული ცვლილება.

ოღონდ, ცვლილების შედეგად მიღებულმა ფასადების მხატვრულმა სახემ, რიტმულმა დანაწევრებამ და ფერადოვნებამ არ უნდა დაარღვიოს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებული ხასიათი და მხატვრული მთლიანობა – სიფრთხილეა საჭირო უბნისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ესთეტიკის (ხის ფაქტურის აივნები, აფერადებული ფასადები) ცვლილებისას, რათა ფასადებმა არ შეიძინოს ბუტაფორიული ელფერი.

იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული იქნება ნაგებობის ხელახლა შეღებვა, აუცილებელი იქნება მთავარი ფასადის ნალესობის ლაბორატორიული ანალიზი თავდაპირველი ფერის დასადგენად და თავდაპირველი ფერის დაბრუნება, თუმცა არსებული დაფერილობაც სათანადოა.

მართკუთხა ღიობების ალათები I ნაგებობის ფასადზე მტკვრის მხარეს უნდა აღდგეს შენობის თანადროული არქიტექტურული ესთეტიკის მქონე ალათებით; აივნის მხატვრული სახეც უნდა შეესაბამებოდეს თავდაპირველი ნაგებობის სტილს, კერძოდ კლასიცისტურ ღიობებიანი ფასადის აივნებისათვის დამახასიათებელია წრიული სვეტები და რიკულებიანი მოაჯირი.

ამგვარად, ვინაიდან ნაგებობების სახე იცვლებოდა დროთა განმავლობაში და იგი ნაწილობრივ ადაპტირებული სტრუქტურაა შესაძლებელი ჩანს ადაპტაცია მისი ზედა გადაკეთებული ნაწილებისა. მანსარდის სართულის ნაცვლად შესაძლო ჩანს სხვა ტიპის მანსარდის მოწყობა ან ატიკის სართულის შექმნა. I ნაგებობის ბანზე მოწყობილი სტრუქტურა ახალია და მისი შეცვლა შესაძლებელი ჩანს, ოღონდ ახალი ფორმა თავისი მოცულობით, ასევე არქიტექტონიკური დამუშავებით საკმაოდ „ნეიტრალური“, „არაპრეტენზიული“ უნდა იყოს, რაც ძველი თბილისის არქიტექტურული რეპერტუარის გამოყენებას პრინციპულად გამორიცხავს, თუმცა მასთან (კონტექსტთან) მჭიდრო კავშირს გულისხმობს.

ამგვარად, აქ შეიძლება უბნის და ნაგებობის ისტორიული განვითარების ლოგიკას მივყვეთ და ვიხმაროთ ნაწილობრივი ადაპტაციის მეთოდი, რაც ალბათ დამპროექტებლების მიერ გარკვეული ამოცანების გადაჭრას გულისხმობს: ახალმა ნაგებობამ თავისი მოცულობით გვერდით ნაგებობებთან კონტექსტში არ უნდა დაარღვიოს ის სივრცული მასშტაბი, რაც დღეს საკმაოდ ბუნებრივი და ლოგიკური ჩანს სანაპიროს ამ მონაკვეთზე.

საკვლევი შენობის წამყვან არქიტექტურულ თემად კი სანაპიროს ამ მონაკვეთში ჩამოყალიბებული სივრცული სტრუქტურის მხატვრული გააზრება და შემდგომი განვითარება გვესახება.

ამ შემთხვევაში ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ გამოიწვიოს ფართო ხედვითი არეების გადაკეტვა. ამისთვის კი საჭიროა ფრთხილი მიდგომა. გათვალისწინებული უნდა იქნეს დღევანდელი რეალობა და ახალი მოცულობები მასზე გათვლილი დაპროექტდეს.

აქ მნიშვნელოვანია თუ რა მხატვრული ღირებულების მქონე ახალი ელემენტები დაემატება და აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება მშენებლობის ხარისხი. მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ქუჩის და განაშენიანების თავისებურებანი და შესაბამისად შენარჩუნებული უნდა იყოს ნაგებობის ზოგადი მხატვრულ-არქიტექტურული სახე, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული ღირებულება.

ინტერიერებში შესაძლებელია გადაგეგმარება (მაგ. II სართულის დარბაზის, ახალი კიბის უჯრედების, ახალი ბუხრის და სხვ.), ვინაიდან ძველი მხატვრული გაფორმება არ არის შემორჩენილი და ღირებული არაფერია. ამიტომ დასაშვები ჩანს ახალი

მხატვრული სახეების დაპროექტება, მისი ფუნქციის შესაბამისად ამგვარი გარემოსთვის დამახასიათებელი ტრადიციული თემატიკითა და ფორმით;

შესაძლებელი ჩანს II შენობის დასავლეთი და ჩრდილოეთი ფასადების მხატვრული სახის ცვლილება ერთიანი მხატვრული კონტექსტის დაცვით;

ამგვარად რეაბილიტაციის მიზანი უნდა იყოს ნაგებობის სამშენებლო ფენების და მათი არქიტექტურული დირებულების დადგენის და ასევე, თავდაპირველი მხატვრული სახეების გამოვლენის შემდეგ, ზოგი მოცემულობის თავდაპირველი სახით აღდგენა და რიგ შემთხვევაში ადაპტაცია თანამედროვე ფუნქციურ მოთხოვნათა შესაბამისად, არქიტექტურული ძეგლის ავთენტური სტრუქტურისა და მხატვრული სახის დაცვით;

აუცილებელია რეაბილიტაციის დეტალური პროექტი, როგორც არქიტექტურული ნაწილის ასევე მხატვრული სახის ესკიზების წარმოდგენით;

აუცილებელია სახლის სრული ფიქსაცია – არქეოლოგიური ანაზომი და ფოტოფიქსაცია.

სასურველია აზომვებისას და პროექტირებაში არქიტექტორ-რესტავრატორთა მონაწილეობა.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მიწის სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში არქეოლოგიური ზედამხედველობა.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
30. 11. 2013

დანართი

- *ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება*

ერეკლე II ქუჩა – ჩაისახა ფეოდალურ ხანაში. **ერეკლე II ქუჩა** დაერქვა **სიონის ქუჩის** ნაწილს 1900 წ. ერეკლე II მოედნიდან სიონის ქუჩამდე. გვიან შუა საუკუნეებში აქ იყო განლაგებული სავაჭრო რიგები – **რასტაბაზარი.**

ერეკლე II შესახვევი – ჩაისახა ფეოდალურ ხანაში. აღნიშნულია 1800წ-ის თბილისის გეგმაზე დასახელების გარეშე. XIX ს-ში ეწოდებოდა სიონის შესახვევი. 1924 წ. გეგმაზე აღნიშნულია **ბარათაშვილის შესახვევის** სახელით.

სიონის ქუჩა – თბილისის ერთ-ერთი უძველესი ქუჩა. გამოსახულია XVIII - XIX სს-ის გეგმებზე. 1800 წ. გეგმაზე აღნიშნულია **„ხარაზხანის“** სახელით. შემდეგ უკვე **სიონის ქუჩა** ქვია.

მტკვრის მარჯვენა სანაპირო – ამ ადგილას XX ს-ის შუა ხანამდე მიედინებოდა მდ. მტკვარი. სანაპირო შეიქმნა 1950-იან წლებში.



1990-იანი წწ.



უბნის ხედი მტკვრის მარცხენა სანაპიროდან, 2008წ.